

1967

№ 12 (1262)

თბილისი, ივნისი

1967

საქსი

მედიკალური
გაზეთი

გამოცემის 44-ე წელი

ფასი 20 კპ.



აი ქალი მოგცა ჩაუი!

ზ. ლაშვაანი



მაგობრული პარტი ბ. შირცხალაშვილი

დიდ ქართველ ენათმეცნიერს აკაკი შანიძის დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

აბაკი შანიძის

შემოვივლია ყოველი კუთხე,
 „ვოლგით“ კი არა, ერთგულ სახედრით,
 გურია სანთლის არყით აკურთხე
 და „წინანდალით“ ლოცე კახეთი.
 ენის მირონი აპკურე თვისტომს,
 კვალს ქვესქენლამდე სდიე რუსთავლის,
 და როგორც ერთ დროს იესო ქრისტემ,
 შენც მიაშურე იერუსალიმს.
 ეძიე, შპოვე და სიკვდილს ასცდა
 პალიმფსესტებში შთენილი სიტყვა,
 შეუღლებული ხარ ქართულ ზმნასთან:
 აქებ, აღიდებ, აღმერთებ, გიყვარს...
 ესე ამბავი ვინ თქვა სპარსული —
 ქართული მზე წვავს ხანმეტურ
 სტრიქონს...
 ოთხმეოც წელი ხომ გაასრულე,
 კვლავ ოთხმეოცი, რაც ხიყოს, ხიყოს!

ნათელ-მირონობას ყოველთვის ღვინო, საშვილიშვილო დანათესავება და ვარდყავილები არ მოჰყოლია თან. რაღა შორს წავიდეთ, განა ფარსადან ბოდბისხვეველმა არ ჩააგდებინა სამი შვილის მომნათვლელი ციხეში?! ამჯერადაც მსგავს ღალატზე გვსურს მოგიტხოვროთ:

ვინ დაარწმუნებდა ვერა გუდიაშვილს, რომ ნათელ-მირონობაში ღალატზე შეიძლება გამოერიოს... ნინო ქოქოშვილს ორი შვილი მონათვლინა, თბილი გული უჩვენა და ექვსი თვე დედამამიშვილივით სახლში ისტუმრა. სოფელ ქიწნისში, ქმრის ბინაში დაბრუნებულ ნინოს ნათლიდელისაგან ხშირად მოსდიოდა წერილი: „თავს გაუფრთხილდი, ჯანმრთელობას მიხედე, დარდს არ შეაჭმევინო გულიო...“ და როდესაც ქმრის დაღუპვის შემდეგ ნათლიამ თავი ობლად იგრძნო, ისევ ნათლიდელამ მოაკითხა და დროებით თავის სახლში გადაიყვანა. ნათლიამ ნათლიდელასთან საკმაოზე მეტ ხანს მოიღვინა, ნათლულებს შეეხმატებოდა და ნათლიმამას სულ სხვა ხმაზე დაუწყო ჭიკჭიკი. ქოქოშვილის მხიარულმა ბუნებამ და სიცილ-კისკისმა ნათლიმამასაც აურიო გონება, ნათლია მეუღლეში აერია და ექვს შვილსა და ტკბილ მეუღლეს სამუდამოდ შეაქცია ზურგი. გამწარებულმა ვერა გუდიაშვილმა სვეწინთა და მუდარით შეღაღადა ნათლიას. — „ნათლიდელას ნუ მღალატობო“, მაგრამ ვინ უგდო ყური, გამიჯნურებულმა ქოქოშვილმა თავისი ორი შვილი დაივიწყა, ნათლიმამას ექვსი შვილიც ზედ მიაყოლა, ნათელ-მირონობით ნათელ-მეფეს ხელი მოხვია და სხვა ბუდეში გადაიყვანა.

ერთხელ კიდევ შევევდრა ვერა გუდიაშვილი: „მე თუ მღალატობ, შენს ნათლულებს რას ერჩი, მამის ქონებიდან მცირედი მაინც დაუტოვეო“, მაგრამ ნათლიამ ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. ჯერ გორში, ლენინის ქ. № 38-ში მდებარე სახლი გადაიმტკიცა, შემდეგ კი გოგებაშვილის ქ. № 42-საც დაეპატრონა...

1964 წლის 15 აგვისტოს ალექსი გუდიაშვილს ავარიის შედეგად იმ ქვეყნად მოუხდა გამგზავრება... ცა და მიწა შეარყია ნინო ქოქოშვილმა, ტირილით კი არა, თხოვნით — ალექსი გუდიაშვილის სახლი და ქონება ჩემია და ჩემთანვე დარჩებაო.

ისევ შეასხენა ნათლიდელამ ნათლიას ნათელ-მირონობის მაღლი, „შენი ნათლულები მაინც შეიბრაღე, ულუკმაპუროდ ნუ დატოვებო“, მაგრამ არ შეისმინა ნინო ქოქოშვილმა ხვეწნა და მუდარა, აატალახა სასამართლოსა და პროკურატურის კარები. 1964 წლიდან დღემდე დადის და ჩივის, ზოგს ნათელ-მირონობას უმტკიცებს, ზოგს სიმართლესა და წესიერებას... ალბათ ამიტომ თუა, რომ დღემდე ეს საქმე ქ. გორის სასახლხო სასამართლოშია მხართეძოზე წამოწოლილი და არავინ ცდილობს გგორდი მაინც შეუცვალოს. ნათელ-მირონობით არა, მაგრამ იქნებ სიმართლის ძალით მაინც მიხედონ ვერა გუდიაშვილის ობლებს!

გ. ავაღლოშვილი.

ს ვ ე ნ ა დ ე უ ბ ა

იმერეთში ოდიოვანე სამი რამ იყო ცნობილი: აგიაშვილების მწვეარი, კვერნაძეების ბალი და წიფვიძაძეების დაბრაწული წიფილები, მაგრამ ეს უკანასკნელი სხვაგვარად შეიცვალა. წიფვიძაძეებმა, რომლებზეც ქვემოთ მოგახსენებთ, ჩხუბსა და აყალმაცალში, ანონიმური წერილების ხვავსა და ენით ფარკაობაში ისახელებს თავი.
 ამბავი თავიდან თითქოს უბრალოდ იწყება... ქუთაისში, ჯაფარიძის ქუჩის 19 ნომერში, ცხოვრობენ დეზი მარო და ეპრაქსი წიფვიძაძეები. დიას, ცხოვრობენ, მაგრამ... სხვებს აღარ ეცხოვრებთ. დაღესილი დეზი ქვეყანას ენის წვერზე ატრიალებენ, დიდსა და პატარას, მრუდსა და მართალს კიცხავენ და აქილიკებენ, ჭიანჭველას წინეგას უსინჯავენ, სხვის თვალში ბეწვს დაეძებენ და საკუთარში იშმაკსაც ვეღარ ამჩნევენ. კუთხე-მეზობელი სასტიკად დაიფრინეს, დალანდლეს და შეაჩვიეს.
 პირველად შენია მომცემლიძეს დაესხნენ თავს და გაქელეს. იგი ქვემოთ, პირველ სართულზე ცხოვრობს და სასჯელად, გულის გასაწვრილებლად, იატაკზე ყოველდღიურად გვარიანი ბრაგა-ბრუგი გამოუწერეს. მერე ექთან ლუბა გვილაგას მიადგნენ. თურმე ნუ იტყვი, ის ლუბა წიფვიძაძეების მოხუცსა და ავადყოფ დედას უვლიდა. მისი გარდაცვალების შემდეგ დეზი შეიჭოდა, მეზობლურად ხელიც გაუწოდა, დაკრძალვისთვის ფულიც შეუგროვა, მაგრამ არ იკითხავთ, რით გადაუხადეს სამაგიერო? წიფვიძაძეები აღგნენ და ლ. გვილაგას მისამართით უშველებელი საჩივარი გააშანშალეს: რატომ მეტი ფული არ შეგვიგროვა, ალბათ თვითონ ჩაიჯობათ. როცა ეს ცილისწამება არ დადასტურდა, სირცხვილით მაინცდამაინც არავინ დამწვარა...
 მერე ნიშანში ლუბა ანდლულაძე ამოიღეს, ისე ლანძღეს და თათხეს, როინ ვერ გარეცხავდა. ანდლულაძემ სასამართლოს მიმართა და ეპრაქსი წიფვიძაძეს ერთი წლით პირობითი სასჯელი გამოუტანეს.

ჩხუბისა და კინკლაობის ოსტატებმა აღარც ამის შემდეგ მოიხვეწეს. მაშინ ბინაში კაპიტალური რემონტი ტარდებოდა. დეზმა კალმები გესლში დაასველეს, დაფილარაბა ატეხეს — 14 ცალი ახალი თუნუქი თვალსა და ხელს შუა გაჭრა, თენგიზ ყენიამ მოგვპარაო. კომისიას კომისია დაასიეს. ბოლოს „მოპარული“ თუნუქები დანიშნულებისამებრ სახურავზე დაგებული აღმოჩნდა.
 როცა ველარაფერს გახდნენ, აყვია დეზმა ახლა დამსახურებულ პედაგოგ სიმონ ყენიასა და პენსიონერ აქესენტი ადამიას ენა პისტოლეტით დაასალეს... ხშირად სისუფთავეზეც გაჰკიოდნენ, მაგრამ დეზის ხელში ცოცხი მამაშეციერსაც არასოდეს დაუნახავს, პირიქით, ამბობენ, წყალზე გამოსულ მეზობლებს ვედროში ზემოდან ნაგავსაც უხვად თავაზობდნენო.
 ყოველივე ამისა და ლანძღვა-გინების გამო, დეზს ბარე ორჯერ ჯარიმაც გადაასდევინეს.
 ბოლოს მოთმინების ფილაც გადაიპინდა. მეზობლებმა აბეზარი დეზის გასახლება მოითხოვეს. ქუთაისის სახალხო სასამართლომ წიფვიძაძეების გასახლების შესახებ დადგენილებაც გამოიტანა (იხ. საქმე № 2/950, 1960 წ. 20 ივნისი). მაშინ დეზმა თხოვნაც იკადრეს და ცოტა ხანს თაფლად დაიღვარნენ. ასე და ამგვარად, გასახლება თავიდან აიცილეს.
 მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო, მაგრამ წიფვიძაძეები მეზობლებს ლანძღვა-გინებას არ აკლემენ...
 ... და ისევ გრძელდება კინკლაობა და აყალმაცალი. დეზი კალმებს გესლში აწებენ და ენას ყოველდღე ქვასანაყზე ლესავენ.

როგორც ზავა, ისე მოვა...



... ბოლოს ნიკო ცოლს გაეყარა. იმ დღეს ნიკომ კარგი პურ-მარილი იკისრა და თვითონაც მიიღო „კურთხეული სითხის“ გარკვეული დოზა, მაგრამ იმას ვერ იტყოდით, დარდებს ახრჩობს ღვინოში... პირიქით, სუფრას ზედმეტად საზეიმო ელფერი გადაკრავდა და „მეორედ დაბადებას“ რომ დღესასწაულობდა, ამის დამალვას არც თვითონ ცდილა...

მერე ის იყო, ფსიქიატრიული საავადმყოფოს სანიტარებივით ენერგიულმა, სამმა რვა-რვა ფუთიანმა კაცმა მოასვენა სახლში და წინასწარ განცალკევებულად დადგმულ საწოლზე შემოდგეს სახეზე ღიმვადაფენილი ნიკო...

კუნთებში მთელი ღამე ყრუ ტკივილებს გრძნობდა და სულ ფიქრობდა, გამოსაფხიზლებელში მოვხვდით, მაგრამ დილით, როცა საბოლოოდ მოეგო გონს, მათემატიკური სიზუსტით აღადგინა ყველაფერი, რაც წინაღობით მოხდა და ერთხელ კიდევ დადგა „მე თუ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო“-ს ჩალიდინების ფუნებაზე...

აქედან დაიწყო ნიკოს უმფოთველი და უზრუნველი ცხოვრება. თანდათან დაიბრუნა ცოლის შერთვის მიზეზით დროებით დაკარგული თავისუფლება და სიმყუდროვე, მაგრამ ეს ყველაფერი მცირე მსხვერპლის გაღების ფასად დაუჯდა: სახლში საშინელი ანტიანტიტარია გამეფდა. აწ გაყრილ მეთუღლეს მხოლოდ ოთახის კუთხეში დახვავებული ჭუჭყიანი თეფშების გროვა და ლამინარიის კონსერვის ცარიელი ყუთები თუ ახსენებდა.

კარგა ხანს უტყირა ნიკომ ამ ქაოსს და იმდენად უცნაურ და დაუჯერებელ დასკვნამდე მივიდა, რომ თმები აე-

ბურძგლა. როგორ? ეს წვითა და დაგვიტ მოპოვებული თავისუფლება ისევე დაკარგოს?! მაშინ რა საჭირო იყო ამდენი წვალება? არა, ნიკო მოითმენს... მოითმენს, რადაც უნდა დაუჯდეს... ცოლის ხელახლა შერთვის სულელურ აზრს კი არასოდეს გაივლებს თავში.

...ყურმილი თვით მამიდა მინადორამ აიღო. ძმიშვილის გასაჭირი რომ მოისმინა, ერთი შეიქცადა და ნიკოსკენ გაემოქმურა. სამი დღე არჯულებდა მამიდა მინადორა ნიკოს ოთახს და მესამე დღეს, ამდენი ხესვა-წმენდით თავგაბებურებულმა, ძმიშვილს მოკლე ხანში მთლად გადაგვარება უწინასწარმეტყველა და ურჩია, ისევე შეერთო ცოლი. თანაც გადაუკრა: ჩემს მეზობელ სევერიანს ისეთი ნათლული ჰყოლია, იმისი სილამაზის ამბავი ზღაპრად დადის სამეზობლოში.

— შენ თუ ნახე, მამიდა, ეს მზეთუნახავი? — მორიდებით ჩაეკითხა ნიკო.

— არა, შეილო, არ მინახავს, მაგრამ, თუ შენ დამეთანხმები, ამ შაბათსვე წავიდეთ სანახავად, ეგ საქმე მე მომანდე, სევერიანს სიტყვას გადაუჯერავ... მაგათმა მზემ, ერთბაშად სასიძო არ დამიწუნონ!

ნიკოს მაინცდამაინც ჭკუაში არ დაჯდომია მამიდამისის ნათქვამი, მაგრამ იგრძნო, ამ საქმეს პურ-მარილი სუნი უდიოდა და უტან არ დაუხევიდა.

შაბათიც მალე გათენდა. წინასწარ გაფრთხილებული ბიჭები, რომლებიც გაჭირვებაში მარტო არასდროს ტოვებდნენ მეგობარს, დილიდანვე ნიკოსას გადმობარგდნენ... გაისმა თუ არა ყურმილში მამიდა მინადორას ხმა — „გელოდებითო!“ ტაქსს ეძებრნენ და 10

წუთში ნეიტრალური სახლის კარებთან გაჩნდნენ.

სუფრა იმდენად თვალისმომკრელად და მრავალფეროვნად იყო გაწყობილი, რომ ნიკომ და მისმა მეგობრებმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად დაასკვნეს ქალი საკმარისად შეუხედავი იქნებო. მაგრამ ეს, რასაკვირველია, მთავარი არ იყო. მთავარი იყო ის, რომ დღეს ასეთი მამა-პაპური ვახშამი მოელოდათ სასიძოდ წოდებულ ნიკოსა და მის კბილებდალესილ მომყოლებს.

ერთმა, ყველაზე უფრო იშხიერ-მწყურვალმა, შემწვარ ჩვილ ბატკანს ბარკალი აახლიჩა და ერთი ჭიქა „მუქუნანიც“ ისეთი სისწრაფით ჩაიბრქვა ხახაში, ნიკომ ძლივს მოასწრო გაეფრთხილებინა: ჭიქა არ აზარალო, თუ ძმა ხარ, ოჯახსო.

ამ დროს კარიც გაიღო და საპატარძლო გამოგოგდა... და აქ მოხდა ის, რაც ნიკოს მეტს არავის, არასოდეს შემთხვევია... ნიკოს ჯერ ყბა მოექცა, მერე რეტი დესხა და დაკლული ქათამივით გადავარდა სკამიდან. არ მახსოვს, რამდენ ხანს იყო ასე, ეს რა გუგუნებდა მის თავზე, იქნებ თვითმფრინავში იჯდა და ღრუბლებში მიცურავდა?!

ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა და მოისმა საოცრად ნაცნობი ხმა. ეს ვახტანგი იყო, მისი ერთ-ერთი მეგობართან, რომელიც ამ დელოკატური პურ-მარილის დაკარგვის შიშით, საცოდავი ხმით ჩაძახოდა ყურში ინფარქტმიღებულ მეგობარს:

— რა უჭირს, ბიჭო, შე უდმერთო, შეერთე ისევ... შენი ცოლი არაა?!


ლალი გვასალია

ტეკვა „გოშური“ თბილის ქაჩეხში.

ნ.ბ. ბაშია მალაზოლიანი




«შიხნურობა» «ვეზისტაოსანში»




უბეჭსტო ხუმრობა.


133 67



— მათ აგობ, რომ არაფერი დაგიღვია?! —



— ხურდას არ მოხვამთ?
— რა დროს შენი ხურდაა, შე ლაწირაკო?!



მოდას აყოლილი



— რამდენად „დაიპირა“?

შორიდან ნასროლი კალმისტარი სვიტრზე დაესო ვიოლას, გლო-
ბუსზე მომწყვდეული დედამიწა თავბრუდამხვევი სისწრაფით დატყდა
და, შავი მექსიკური გიტარის სიმებზე სევედიანად ჩამოკრეს და VIII ა
კლასში გაკვეთილი დაიწყო.

ბაბუცა მასწავლებელმა „არებითა“ და „ორებით“ გატენილი ჟურნალი
მაგიდაზე დაახეთქა. მტვერი ბოლქვებად ავარდა ზევით.

— ახრჩობთ აღმზრდელ პედაგოგს, ხომ?!

ხელად დაადეს ფანჯრები, რომლებშიც არც ერთი მთელი მინა არ
იყო...

პირველი პერსონალური რისხვა კლასის მორიგეს დაატყდა:

— შევირცხვა ქალობა! ისე, რომ გითხრან, ახლა მამაჩის ბიუროში
კაცი ვერ მიგასწრებს!

გოგონა ყურებამდე გაწითლდა. ყურებს ზევით „ხნით“ იყო გადა-
ყვითლებული. პედაგოგის ფხიზელ თვალს ეს არ გამოპარვია.

— კვეზერელი, აკროხინი თავზე წასასმელად იყიდება თუ ციების
მოსარჩენად?!

— ხნაა, მასწ, თმის ძირებს ამაგრებს! — სცადა თავის მართლება
გოგონამ.

— რა გჭირს მაგ თმებზე?!

— რასაც სახლში თმებით ათრევენ! — გასცა მეზობელმა ვაჟმა.

პედაგოგი გამოსდომებსაც ვერ იტანდა სასტიკად.

— კუჭუხიძევე, შენ ვის დასცინი, სახელოებს რომ გიგავს შარვლის
ტოტები?!

კლასში სიცილი წასკდათ.

— სად ბრძანდებოდი იმ კვირას?!

— ბებია მომიკვდა, მასწ.

— ეგ ორი თვის წინ არ მითხარი?!

— ეს მეორე იყო...

— ჰო, შემდეგ თვეში ბაბუას არ აცალო სიცოცხლე და ეგდე ასე
ჯირკვიით!.

— ხომ ხედავთ, შავები მაცვია, მასწ.

ბაბუცა მასწავლებელმა ხელი შავ შარვალ-ხალათში გამოწკებილი
ბიჭებისკენ გაიშვირა:

— იქნება ამათაც ბებები მოუკვდათ და მიმალავენ?!

ცრუ მგლოვიარე უხმოდ დაჯდა.

შემდეგ ბაბუცა მასწავლებელმა ბევრი ილაპარაკა იმაზე, რომ ისინი
ახალგაზრდები კი არა, თხები არიან, რომ ბარათაშვილი მათზე ცამეტი
წლით უფროსი იყო, მეტი კი არა, „მერანი“ რომ დაწერა, და რომ სა-
ერთოდ მათგან არაფერი გამოვა. „თოხი უნდა გეჭიროთ ხელში და ყამირ
მიწებს უხატუნებდეთ“, — ტრადიციულად დაამთავრა თავისი სიტყვა.
კლასში სიჩუმე ჩამოვარდა, ისეთი, რომ კოლოფიდან ამოშვებული
ბზიკის გაფრენასაც გაიგონებდით.

— კორსაველი ლია, დაიწყე გაკვეთილი!

კორსაველმაც დაიწყო: — მიჯნურობა „მეფხისტყაოსანში“. მიჯ-
ნურობა მეტად სასიამოვნო გრძნობაა. იგი ჯერ კიდევ XII საუკუნეში
ქპონიათ ადამიანებს. რუსთაველს არ უყვარს ხვევნა-კოცნა. „მძულს
უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლამა-მტლუმიო“. პოეტი უფრო
პლატონურ სიყვარულს უმღერის, რომელსაც კოცნა არ მოსდევს. ფატმა-
ნი სწორედ მსუბუქი ყოფაქცევის ქალად ჰყავს გამოყვანილი. იგი გაგი-
ვებით კოცნის სატრფოს“.

— კორსაველი, რა სულ კოცნა გაკერია პირზე! დაჯექი!

შემდეგი მოწაფე უფრო თანმიმდევრული იყო: — რუსთაველის გმი-
რებისთვის განუყრელია სიყვარულის გრძნობა. ტარიელი ტყეშიც კი გა-
იჭრა ნესტანის საძებნელად. მის გახსენებაზე ტანში აჟრიალებდა...

— შემიფასე ტარიელის საქციელი!

— ტარიელი დედალია! — წამოიძახა ერთმა ვაჟმა.

— რა თქვი, ბობოყვადე!

— ტარიელი სუსტი ნებისყოფისაა-მეთქი. — გამოასწორა ბობო-
ყვადემ.

— რატომ, ვითომ?!

— აბა, მასწ. ქალის გულისათვის ვაჟკაცი იტირებს?!

ბობოყვადემ ქედმაღლურად გადახედა გოგონებს. ბაბუცა მასწავლე-
ბელი შეურაცხყოფილი დარჩა.

— იქნებ შენზე ნაკლები იყო, ა?! კაცი კატასავით ხოცავდა ლო-
მებს. (ბობოყვადემ განტელებით ნაგარჯიმე მკლავებზე დაიხედა). ადა-
მიანი თუ გიყვარს, იტირებ კი არა, შეიძლება იმის გულისთვის გაგიუდე
კიდევ. ჩემი შვილები ხართ და გეტყვით: აგერ ოცდაშვიდი წელია, ერთი
სამხედრო მიყვარდა. ფინეთთან ომში დაიღუპა. იმის ხათრით დღემდის
არ გავთხოვილვარ. ამას ვინ იზამს ახლა?!

ტკბილი მოგონებების ძაფი ზარის წკრიალმა გაწყვიტა.

— ცუდად ერკვევით სიყვარულში. ისევ ის გექნებათ. — თქვა ბა-
ბუცა მასწავლებელმა და კლასიდან ისეთი სახით გავიდა, თითქოს ახალ-
გაზრდობის აღზრდის უბანზე ერთი უშველებელი აგური დაედოს.

ნახ. 8. აბაბაბინა

ნახ. 10. ღოიავილინა

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

საქართველო ნიანგი

საშხარელო ნიანგო!

ორჯონიძის რაიონის სოფ. კიციხის მდინარაძეების უბანს მოშორებით, მაგრამ მაინც გვეკონდა სასმელი წყალი — „საშას წყარო“. 1967 წელს წყაროს მიმართულება შეუცვალეს და კილომეტრნახევრით დაგვიცილეს, დავრჩით „უდაბნოსა შიგან მლაღადებელნი“.

ჩემო ნიანგო მოიღე მოწყალება და გააგებინე ჩვენი სოფლის თავკაცებს, რომ ჩვენ წყალი გვეპირდება და არა დაპირება.

საშასწაროელაზი

კაბივცემულო ნიანგო!

1966 წელს მოვიდა ტექნიკურად კბილებამდე შეიარაღებული ხალხი პავლოვის ქუჩა № 41 სახლის ეზოში და რამდენიმე წუთში ეზო ფრონტის სახს დაამსგავსეს; დაანგრეს გარაუები და დატოვეს მხოლოდ ორი ალბათ იმიტომ, რომ იქ ლორებს, ქათმებსა და სხვა ცხოველებს ინახავენ — ზრდიან. ერთ-ერთ გარაუში კი საკმაოდ ცნობილი მარანი — „საიჭიოც“ არის.

საყვარელო ნიანგო გაგვაგებინე, გენაცვალე, თუ გარაუები ეზოს კეთილმოწყობისათვის და ბავშვების უსაფრთხოდ თამაშისათვის დაანგრეს, სად არის კეთილმოწყობა და რატომ დატოვეს ის ორი გარაუი, ხოლო თუ აქ დაინტერესება იყო და ვინმეს ასიამოვნეს, მაშინ ვის ასიამოვნეს?

უეზო-უგარაუოელნი

ძმაო ნიანგო!

1968 წელს საჩხერის რაიონის ვეტსამკურნალომ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა სურათების გამოფენა — ფოტოსტენდისათვის გარკვეული თანხა გადაურიცხა საჩხერის საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციას. დღეისათვის ფოტოსტენდის მშენებლობაზე დახარჯულია 1297 მან. და 85 კაპ. ხარჯთაღრიცხვით უნდა დახარჯულიყო 1271 მან. ე. ი. გადახარჯეს 26 მან. და 85 კაპ. ფოტოსტენდის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანს.

ჩვენო ნიანგო! ძალიან გთხოვთ, ამ მრავალუცხოვნიან ამოცანიდან ერთ კითხვაზე მაინც გაგვეცეთ პასუხი, კიდევ რამდენი მანეთი უნდა გადახარჯონ მშენებლებმა (მშენებელი მ. დადიანი), რომ ვეღირსოთ ფოტოსტენდის დამთავრებას?

სახხმარელი

ჩვენო ნიანგო!

მახარაძიდან გზავნიან დებუშას: „დედა გარდამეცვალა, ვასაფლავებთ 28-ში“. ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნინოშვილში ვლებულობთ დებუშას: „ნინა გარდაიცვალა, ვასაფლავებთ 28-ში“. ავიკარით გუდანაბადი და წავედი თბილისში ცოცხალი დის, ნინას, სატირლად, იმის მაგივრად, რომ მახარაძეში დავსწრებოდი დედის დაკრძალვას.

ძალიან გთხოვთ ნიანგო გააგებინოთ ლანჩხუთის საფოსტო განყოფილებას, რომ ამ უბედურების დროს გაუთვალისწინებელი ხარჯები გაითვალისწინოს და მკაცრად დასაჯოს დამნაშავენი. თანაც გააფრთხილონ რომ ასეთ შემთხვევაში პირველ პირილსაც არ ხუმრობენ.

გზაპვალარეული ნაღაპარარი

მთავარი რედაქტორი ნოდარ დუმბაძე. სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლჭვაძე (პ/მზ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. გალაგონია, ბ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. საბირისა და იუმორის უზრუნველყოფილი „ნიანგი“.

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. თბილისი. Сатирико-юмористический журнал „Нiangи“. სპ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამოცემის ნომერი. დასაბ. 12/VI 1967 წ. ქალ. ჯიშა 70x108/8 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმატა რაოდ. 1. სპ. კვ ცკ-ის გამოცემის პ/კომპიანტი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შიკვ. № 2361. ში 02135. ტირაჟი 64.000

ძმაო, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, რატომ, რისთვის, კარტოფილი მანეთი? წითლად ღუის, კალათებით აწყვია, ვაპ, ვერცხლია თუ ხენდრო და მარწყვია.

არ ვხედავდე, ნეტავ ვიყო სვანეთში, ერთი კილო მარწყვი სამი მანეთი? მიხაკს ჰყიდი, ვუტკვერ და „მიხარია“, ამბობ: თითო მანეთნახევარია.

ორ მანეთად კიტრს აფასებ, წესია? თესლის ნაცვლად ოქრო დაგიტესია? კაცი ხარ და როგორ არა გრცხვენია? ეს ქვეყანა განა მარტო შენია?

არ მცნობოდი, პამიდორო, თავიდან, სუთ მანეთად? როგორ, ძმაო, საიდან?

მასჩრობ, ჩარჩობ, ვერვინ გაგაჩერა, მახლას, გახლი ჩემი ბედისწერა, ფასებს და მეც ცეცხლი გვიკილია, ხილს ვუყურებ და ვერ მიყილია.

მიხა შილდელი


(აყენი)

დღე და ღამე დაეჭრიალებ, უსაქმურად არ ჩამთვალთ, დღისით „სიუს“ მეძახიან, ღამ-ღამობით — „საბურტალოს“.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— ყვინთვას ასწავლით, ქალგატონო, გავშვს?
— არა, დელფინთან დამყავს ინგლისურზე.



ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში ხელიდან ეცლება უკანასკნელი დასაყრდენი — აღენი.

ახლოაღმოსავლური კვიზაჰი.

● აღენი

